

ჩვენ ვიხილ.

25 მარამობისთ. 19'3 წ.

მიიღება ხელის მოწერა. ფასი 1 წლ., — 5 მან. 6 თვ. — 2 მ. 75 კ., 3 თვ. — 1 მ. 50 კ., 1 თვ. — 50 კ. სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მან.



ქოველ კვირული საზოგადო-მკონო-

მიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 5 - 7 საათ.

მისამართი: თბილისი, გაბაევსკიი პერ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპოზისა: თბილისი კლდე.

**ს ა რ ჩ ე ვ ი:** ჩვენი ავლადილება.—**ალ. ყიფშიძისა.** ახალი მოძრაობა.—**დ. კახელისა.** მუღანის ველი და ჩვენი სარწყავი წყლები.—**რ.გ — ესი.** სამოტორსტო წერილები.—**ფირუზასი.** მთვარის შუქი.—**ოლ. ბეჟუ-აგლაძისა.** მძიმე საკითხის გარშემო.  
\* \* — **სა.** უკანასკნელი ამბები. ერთი მაგალითი.—**თეთრისა.** სოფ. ახალქალაქი.—**ს. ჩამ — ისა.** ბიბლიოგრაფია.

ამ ოთხ დასახელებულ ზონის გარდა, შტევი-ძლიან დავასახელოთ ის დაბლობი ადგილები, სადაც სარწყავი წყლები არ მოიპოვება. ასეთია მაგალითად ვრცელი ველ-მინდორი შირაქი და სხვანი, სადაც ზამთრობით დიდძალს საქონელსა და ცხვარს აბალახებენ. სათქმელი ისიცაა, რომ ხშირად ერთი ზონის მეურნეობა მეორისას უახლოვდება და ზონათა შორის სისწორით ხაზის გავლება შეუძლებელია.

ჩვენის ქვეყნის ასეთმა მდგომარეობამ დაჰბადა სხვა და სხვა ტიპის მეურნეობა და დაუდო საფუძველი შინა-მრეწველობის გაჩენას. ამ ჟამად ჩვენ არ გამოვეყიდებით იმის გამოძიებას, თუ რა სარფას აძლევს მკვიდრთ შინა-მრეწველობა. ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის, თუ ამიერ-კავკასიასა და ჩრდილოეთ-კავკასიაში რამდენია უხმარი და სახმარი მამული, რომლის წყალობით ერი საზრდოობს და იხდის სამოქალაქო მოვალეობას. საოცარია სწორედ, როგორ უძღვება ჩვენებური მეურნე თავის ოჯახსა იმ მცირე მამულით, რომელიც მას ბედმა არგუნა?

დახარკული მამული, ესე იგი ის მამული, რომელსაც ადევს სახელმწიფო საადგილ-მამულო გადასახადი (ГОС. ПОЗ. НАЛОГЪ) და სახელმწიფო ბეგარა (ОБРОЧНАЯ ПОДАТЬ) ყოფილა: ამიერ-კავკასიაში—11.605.206,5 დესეტინა, ხოლო ჩრდილოეთ-კავკასიაში—4.263.167 დესეტინა.

პირველ რაიონში, ესე იგი ამიერ-კავკასიაში პროცენტობით რომ ვიანგარიშოთ, ყოფილა:

## ჩვენი ავლადილება

(დასასრული)

მოკლედ და დაახლოვებით ასეთია სურათი ამიერ-კავკასიისა. პირველს ზონაში მკვიდრი მარტო ზაფხულობით ადის სამთა-ბაროდ. სიცივის წყალობით იქ გამუდმებული ცხოვრება აუტანელი და შეუძლებელია. ტიტველი ქერიც ვერა მწიფდება ამ ზონაზე და აბა ერი რითი გამოიკვებავს თავს. უფრო ხელსაყრელია მეორე ზონა, სადაც მისდევენ საქონლის მოშენებას. აქ სთესვენ ხორბალსაც, მაგრამ მეურნეობის ამ დარგს არაერთი ეკონომიური მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ნათესი ოხრდება ნაადრევ სიცივისა და სეტყვისაგან. მარტო მესამე და მეოთხე ზონაა ღონიერი და სახეირო. მესამეში ურწყავად მოდის ჭინახული, ხოლო მეოთხეში უწყლოდ არაფერი მოვა, განსაკუთრებით აღმოსავლეთსა და სამხრეთ ამიერ-კავკასიაში.

36,9% სახნავი, სათიბი და სავენახე ადგილი; საძოვარი — 51,6% და ტყე — 11,5%. მეორე რაიონში, ესე იგი ჩრდილოკავკასიაში, სადაც ბლომადაა ყაზახების მამული და რომელიც დახარკული არ არის და მამასადამე არც შედის იგი სათვალავში, ასე ნაწილდება 4.263.167 დესეტინა: პირველი კატეგორიის მიწა ყოფილა — 50,61%, მეორისა — 42,58% და მესამისა 6,81%. აქედანა სჩანს, რომ სახმარი და მეურნეობისთვის გამოსადეგი მამული უფრო ბევრი ყოფილა, ვიდრე ამიერკავკასიაში.

პოდპოლკოვნიკ ვინნიკოვის გამოკვლევით ამიერ-კავკასიაში ითვლება სულ 22.842.228,9 დესეტინა, ხოლო ჩრდილო-კავკასიაში — 15.301.247,9 დეს. აქედან სჩანს, რომ ხარკს არ იხდის პირველ რაიონში 11.131.022,4 დეს. და ამდენივე მეორე რაიონში. რა მამულია ეს ხარკისაგან თავისუფალი მამული? ეს ის მამულებია, რომელიც თვით ხაზინას უჭირავს, ესე იგი: სახაზინო ტყეები, საზამთრო და საზაფხულო საძოვრები და საბეგრო ნაქრები (რუსულად ირიшныя статьи). ამის გარდა ხარკს არ აძლევენ ყაზახები იმ მამულისას, რომელიც მიზომილი აქვთ „ნადელად“; თავისუფალია აგრეთვე გადასახადისაგან ყაზახთა ჯარის შავი დღისთვის გადადებული მამული (запачныя смѣи) და ტყეები.

რა ცვლილების შეტანა შეუძლიან სახაზინო მამულს ზემოდ აღნუსხულ სახმარ და უხმარ მამულების პროპორციაში?

ამიერ-კავკასიაში ხაზინას უჭირავს საკუთარ გამგებლობაში სულ 5.589,199 დესეტინა ტყე და საძოვარი: საზაფხულო და საზამთრო. ამას რომ მიემატოს „საბეგრო ნაქრები“ და „თავისუფალი მიწები“ — 266,774 დესეტინა, დავინახავთ, რომ ხაზინას ჰქონია ამიერ-კავკასიაში 5.900,000 დესეტინა. გაბეგრული და დახარკული — 11.605,206, დეს. და ეს 5.900,000 ხაზინისა რომ შევაერთოდ, მივიღებთ 17,5 მილიონ დესეტინას. მაშასადამე თუ გამოვრიცხავთ ამ ჩვიდმეტ-ნახევარ მილიონს 22,8 მილიონიდან, აღმოჩნდება, რომ ხაზინას უჭირავს ამიერ-კავკასიაში 5,3 მილიონი დესეტინა, რომელსაც არავითარი ხარკი და ბორჯი არ ადევს. ეს 5,3 მილიონი შეადგენს 23,4 % ამიერ-კავკასიის ტერრიტორიისას. კანონით ეს მესხეთელზე მეტი ამიერ-კავკასიის ტერრიტორიისა თავისუფალია სახელმწიფო გადასახადისაგან, როგორც უხმარი და

შემოსავალს მოკლებული მიწა (რუსულად: не-удобныя, непродуктивныя земли).

რა მამულია ეს სახაზინო უხმარი მამული? ეს ის მამულია, რომელიც უჭირავს თოვლ-ყინულიან ქედებს, საღს კლდეებს, ღრმა ხეობებს და სხვა, სადაც უბრალო ბალახიც კი ვერა ხეირობს.

ძნელია იმის თქმა, მართლა 5,3 მილიონი დესეტინაა, თუ მეტი, ან ნაკლები ეს უხმარი და გამოუსადეგარი მამული, იქნება ცოტა რამ გამოიყენოს კაცმა ამ ხუთ მილიონ დესეტინიდან, მაგრამ ამით სურათი არ შეიცვლება. ცხადზედ უცხადესია, რომ უხმარი და მეურნეობისთვის უვარგისი მამული ძლიერ დიდია ჩვენში. ვისაც კი უნახავს ჩვენი მთაგორიანი სამშობლო, იმას უეჭველია გადამეტებულად არ ეჩვენება 5,3 მილიონი დესეტინა უხმარ მამულისა. ხშირად საძოვრებად სთვლიან ღრანტეებს და ბუჩქნარებს, მაგრამ ვაი ამ საძოვრებს. საზრდოს ამ ციკაბო კლდეებზე თხაც ვერ იშოვნის და სხვა პირუტყვზე რაღა ითქმის.

საძოვრები და ბუჩქნარი, რომელსაც სახელმწიფო გადასახადი აძევს, ითვლება 6.014.855 დეს. და სახელმწიფო (ეს მამული „ნადელად“ აქვთ მიზომილი სახაზინო გლეხებს და ესენი იხდიან გადასახადს) 3.108,114, სულ 9.122.960 დესეტინა. ეს შეადგენს 40,61% -ს. მომეტებული ნაწილი ამ საძოვარ-ბუჩქნარისა სძევს მალლობ-მთა-გორიან ადგილებში, 5,000 ფუტის სიმაღლეზე. ამ სიმაღლეზე მეურნეობა და ზენა თესვა ხელსაყრელი არ არის. ზოგი მთაგანი, მართალია, სძევს ძირობებში, მაგრამ უწყლოობა უშლის მუშაობას. ასე რომ ეს 40,61% ჩვენის ამიერ-კავკასიის ტერრიტორიისა დიდ ბედნად ვერ ჩაითვლება ჩვენის მეურნეობისთვის. აქ მოსახერხებელია მხოლოდ საქონლის ძოვება, ზენა-თესვისთვის კი ყოვლად უვარგისი და უხეირაა.

სახაზინო ტყეებს უჭირავს 2.481.085 დესეტინა და კერძო მემამულეთა ტყეებს — 1.288.659 დეს., სულ 3.769.744 დეს., ანუ 16,55%.

მაშ რამდენი და დაგვრჩა სახმარი, ანუ კულტურული მამული? ისე ცოტა, რომ სათქმელადაც არა ღირს. წარმოიდგინეთ, რომ კულტურისთვის გამოსადეგი მამული ყოფილა სულ რაღაც 18,71%, ესე იგი მთელის ამიერ-კავკასიის ტერრიტორიის მესხეთელზე ნაკლები გვექონია სახმარად და სარჩოსაბადებლის მოსაპოვებლად.

დაწვრილებით ეს სახმარი მამული ასე განიყოფება. 1) სახნავი (სარწყავ-ურწყავი), სათიბი სასახლ-

კარო, საბოსტნე—4.142.267 დესეტინა, ანუ 18, 04%, 2) ვენახები—95.005 დეს., ანუ 0,41%; 3) ხეხილის ბაღები—57.395 დეს. ანუ—0,25%; სათამბაქო—2,618 დეს., საფორთოხალო—338 დ., საჩაიე ადგილი—451 დეს., სადაფნო—25 დეს., და საზეთის ხილო—6,62 დეს. სულ კი ამპლანტაციების უჭირავს. 3.592,62 დეს. ანუ—0,015%. მთელი ჯამი სახმარ მამულისა დაიჭერს 4.248.260, 62 დესეტინას, ან 18,715%. მაშასადამე დანარჩენი ტერიტორია ამიერ-კავკასიისა—81,29% შესდგება ისეთის მამულისაგან, რომელიც შესამუშავებლად არ ვარგა.

მოყვანილ ციფრებიდან სჩანს, რომ ძვირფას მცენარეთა გაჩენას ჩვენს მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს. რა სისწრაფით მატულობს ბამბის მოყვანა აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში, სჩანს შემდეგიდან. 1909 წ. ყოფილა ბამბის პლანტაცია—50.150 დესეტინა; 1910 წ.—77.800; 1911 წ.—125.000 დეს. მაგრამ უმთავრესი დარგი მეურნეობისა ჩვენში, როგორც შიდა რუსეთში არის საქონლის მოშენება და ხვნა თესვა. ეს დარგი მეურნეობისა ვეღარ აპურებს ამიერ კავკასიელს. ამ უკანასკნელ ხუთს წელს საშუალოდ, წელიწადში შემოჰქონდათ ამიერ-კავკასიაში 10.53.661 ფუთი ხორბალი. ეს იმის მომასწავებელია, რომ ჩვენ საკმარისი პური ვეღარ მოგვყავს და ვაკვებებით იმ პურით, რომელსაც გვიგზავნის ჩრდილო კავკასია და შავი ზღვის ნავთსაყუდელნი.

ამიერ-კავკასიაზე გაცილებით ბედნიერი ყოფილა ჩრდილო-კავკასია. ყუბანისა და თერგის ოლქებში ყოფილა 70,7% სახმარი მამული, 12,5% ტყე და მხოლოდ 16,5% უვარგისი მიწა. მაშასადამე ჩრდილო-კავკასიას 3/2-ჯერ მეტი სახმარი მამული ჰქონია, ვიდრე ამიერ-კავკასიას. იქ სახმარი მამული შეადგენს 70,7%, ხოლო ჩვენში—18,7%. ასეთის სიუხვით აიხსნება ის გარემოება, რომ თერგისა და ყუბანის ოლქებში „ნადელი“ დიდია. მაგ. ყუბანის ოლქში 1911 წ. თითო სულზე მამრობითის სქესისა მოადიოდა სახმარი მიწა—7,74 დეს., თერგისაში—12,3 დეს. ჩვენში კი სუ სხვაა. სახელმწიფო გლეხკაცს ამიერ კავკასიაში (მამრობითი სქესისას) ჰქონდა 1881-83 წ. 1,9 დეს. ასე იყო ამ ოცდაათი წლის წინად, დღეს ხომ ამის ნახევარიც აღარ ექნებათ. გაცილებით ნაკლები მამული აქვთ ჩვენს დროებით ვალდებულებს. მამრობითის სქესის სულზე, კაი ბიჭობაა თუ ერთი დღიური მიწა მოვიდა.

ასეთია მწვავე და ღრმად დამაფიქრებელი სურათი, რომელიც დაგვიხატა აგრონომმა არტემი სტეფანეს ძე ფირალოვმა. აჰ სურათს კამენტარიები აღარ ესაქიროება. მცირე მამულიანობა გვადრწობს და მაშასადამე ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ, რომ მის სიღუბეჭირეს თავი დავაღწიოთ.

ეს ღონეა და ხერხი ახალი მეურნეობა, ინტენსიფიკაცია მეურნეობისა, როგორც ახლა ამბობენ. საჭიროა ამასთანავე ძირიან ფესვიანად ამოვადება იმ საოცარ და დამღუბველ ანარქიისა, რომელიც გამეფდა თანამედროვე სოფელში. ვიდრე იგი არ მოისპობა, ვიდრე არ დამყარდება წესი და რიგი, სოფელად ახალი მეურნეობა ვერ იბოგინებს; ფებს ვერ მოიკიდებს და ყოველი შრომა უნაყოფოდ ჩაივლის.

უპატრონოდ დარჩენილ სოფელს ნამდვილს პატრონი უნდა. აზრით, იდეთ და სიყვარულით გამსჭვალულ ინტელიგენციამ, ნამდვილმა და არა ცრუმ, მყვირალამ, გოროზმა და არაფრის მაქნისმა, პირი უნდა იბრუნოს სოფლისკენ. დღემდის სოფლის ინტელიგენცია უნარს მარტო ბიბლიოთეკის გახსნაში იჩენს. ჯერ „პური არსობისა“, და მერმე ბიბლიოთეკა, საიდანაც მარტო სოფლის დიაკვნები და გადაგვარებული ქართველები სარგებლობენ წიგნებით და გაზეთებით. ბიბლიოთეკა კარგი, როდესაც იგი შეეფერება სოფლის ნამდვილ ცხოვრებას. რაში ებიტნავება წელში გაწყვეტალ კაცს საპოლიტიკო გაზეთი, ან როგორ წაიკითხოს იგი უსწავლელმა, სიღარიბისაგან ვადამღვრძალმა, ან სადა აქვს თავისუფალი დრო საკითხავად? აკი არც კითხულობს არავინ დიაკვნებისა და „უჩიტელ-უჩიტელნიცებისა“ გარდა. ჩვენებურს სოფელს საკმარისი პური ვერ მოუყვანია კუქის გასძღობად, შიმშილით სული ამოხდება, თუ თავს დროზე არ უშველა, არ იცის როგორ დააკმაყოფილოს მთავრობის აუარებელი მოთხოვნილება. სწორედ ამ „განწირვის ეამს“ ბიბლიოთეკების გახსნას ჰლამობს შემოხვევით ჩამოვარდნილი სოფლად ინტელიგენტი.

დიდის ხნის დავირვებით და გაროცდილებით ვიცი, ჩვენებური სოფლელი შესანიშნავადაა მომზადებული ინტენსიურ მეურნეობისთვის. ადვილად ითვისებს იგი ახალს მეურნეობას. მაშასადამე ჩვენი ძალ ღონე, მთელი ჩვენი გულის-ყური, ცოდნა და სიყვარული აქეთკენ უნდა მივმართოთ, დარს აქეთ უნდა უყუთ პირი და მაშინ ნახავთ, რომ თერამეტი პროცენტი სახმარ მამულისა იმდენს ნაყოფს მოგვცემს, რამდენსაც სხვაგან ასი პროცენტიც არ იძლევა. თუ ჩრდილოეთი პურს გვიგზავნის, ჩვენ

ჩაი, ბაშა, ყურძენი, ხილი, დაფნა, ფორთოხალი, ზეთის-ხილი, ვარდის ზეთი მივართვათ სანუფქოთ. მერწმუნეთ რომ მოგებაში ჩვენ ვიქნებით.

### ა. ყიფშიძე.

P. S. წინა წერილში ორიოდ უხერხული შეცდომაა—უნდა ასე წავიკითხოთ: „პურსა არსობისასა“ 5, 2... ყიშლებში.

ა. ყ.

## ახალი მოძრაობა

ქართულ კოოპერატიულ კურსებზედ რუსეთის გამოჩენილმა კოოპერატორმა ა. ევდოკიმოვმა თავის უკანასკნელ ლექციაში სხვათა შორის სთქვა: „კოოპერაციას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს აღორძინება-წინსვლისათვის, მით უფრო, რომ კოოპერაცია, საზოგადოთ, უფრო ნაციონალურ-ტერიტორიალურ ხასიათისაა. არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ თქვენში კოოპერატიული ორგანიზაცია ის მთავარი ღერძი იქნება, რომლის გარშემო ახლო მომავალში დატრიალდება მთელი ქართველი ერის კულტურულ ეკონომიური ცხოვრება“.

საყურადღებო სიტყვა რუსეთის ცნობილ მოღვაწე-კოოპერატორისა უაბუთო არ არის.

მართლაც, თუ მივიღებთ მხედველობაში დღევანდელ დაქვეითებულ ქართულ ეკონომიურ ცხოვრებას, რომელიც ხასიათდება კონსერვატულ-ექსტენსიურ ღარიბ მეურნეობით, ამ მეურნეობის ნაწარმოების არა ნორმალურ გასაღების პირობებით, ქართულ ბაზრების უცხო ბურჟუაზიის ხელში ყოფნით, საკუთარ ვაჭრობა-მრეწველობის უქონლობით, საერთო აწეწილ-დაწეწილ მიწის მფლობელობით, — ამ პირობებში. რასაკვირველია, მძლავრ და იდეურ კოოპერატიულ მოძრაობას შეუძლიან დიდი სარგებლობის მოტანა ქვეყნისთვის და ძალაც შესწევს მართლაც გადაიქცეს საქართველოს აღორძინების ერთ ერთ ძლიერ ფაქტორად. და ამის ახსნა არც ისე ძნელია.

კოოპერაციას შეუძლიან ერის ეკონომიურ ცხოვრებას მრავალრიგად მოუაროს და წინ გაუძღვს, რადგანაც კოოპერატიული იდეა მეტად პოპულარულია და მომხიბლავი, მისი ორგანიზაციები მრავალფეროვანია, ხელს უწყვიან ყველა მოთ-

ხოვნილებას, მათი მოწყობა ადვილია და უბრალო და შედეგებიც საუცხოვო. მასთან აღსანიშნავია ისიც, რომ კოოპერაცია იქ იღვამს ფებს და ძლიერდება, სადაც ხალხი ქონებრივად სუსტია და ჩაგრული.

დღეს ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ თანამედროვე ქართველ მოღვაწეების მეცადინეობა უმთავრესად გლახთა გაღონიერებისაკენ უნდა იყოს მიმართული, მის პაწია მამულის გამოკეთებისაკენ და საერთოდ ჩვენი სოფლის უმწეო და ბნელ ცხოვრებისაგან დახსნისაკენ.

ამ ოცდაათი წლის წინად დასავლეთ ევროპაში მიწის დამუშავებელთა წრეებში დაიბადა მძლავრი რეფორმატორული მოძრაობა. მეცნიერებამ ერთის მხრივ და ცხოვრებამ მეორე მხრივ დაამტკიცა და ცხად ჰყო, რომ ყველა ქვეყნის სასოფლო მეურნეობის წინსვლა დამოკიდებულია იმაზედ, თუ რა საფუძვლიანადაა მოვლილი წვრილ მემამულეთა მიწები ახალ სამეურნეო ცოდნის, ტექნიკის და მეთოდების გავრცელების მხრივ. „მეშველეთ წვრილ მემამულეს, მიეცით მას ცოდნა და ახალი მეცნიერული სამეურნეო მეთოდები მიწის დამუშავებაში.“ დღეს ეს ლოზუნგია ევროპის პროგრესულ მეურნეთა და ეკონომისტთა წრეებისა. გერმანია, იტალია, საფრანგეთი, დანია, ბელგია და უკანასკნელ დროს ინგლისიც კი, სახელმწიფო კანონმდებლობით, ფართო სამეურნეო და იაფ კრედიტის მოწყობით, მრავალრიცხოვან სასოფლო-სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციებით ეშველება წვრილ მემამულეს და ყველა ღონისძიებას ხმარობს, რომ მათ ზურგი გაუმაგროს და წინსვლის გზაზე დააყენოს.

ჩვენთვისაც ეს გზა აუცილებელი. „გლახებო! უკანასკნელი ბრძოლა კაცობრიობის საუკეთესო იდეალების დასაცავად თქვენი უნდა იყოს!“ ამბობდა ერთი გამოჩენილი კოოპერატორი. საქართველოს წინსვლაც იმაზედ არის დამყარებული, თუ ჩვენი გლახობა რა რიგად იქნება მომზადებული მომავლისათვის, რა იარაღში გამოწყობილი და დარაზმული. და უკანასკნელი ბრძოლა ქართველ ერის იდეალების დასაცავად ქართველ გლახობისა იქნება. ეს, გამარჯვების იარაღი—გლახთა კოოპერატიული ორგანიზაციებია—როგორც საუკეთესო და მძლავრი ეკონომიური ფორმა საკუთარ ეკონომიურ ინტერესების დასაცავად თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში.

ამიტომ ქართულ კოოპერატიულმა მოძრაობამ ღრმად უნდა გაიდგას ფესვები ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში და რკინის სალტასავით გარს შემოეფლოს ამ ცხოვრების ყოველ მხარეს, ყოველ დარგს და ერთიანად დარაზმოს ქართველობა ერთს ვეებერთელა ფოლად კოოპერატიულ ორგანიზაციის სახით.

კოოპერატიულ ორგანიზაციების ფორმები ცნობილია. სამი მთავარი ტიპია: საკრედიტო, სამეურნეო და მომხმარებელი კოოპერატივები მათ შორის სამეურნეო კოოპერაცია მრავალ სახისა: მიწის დამმუშავებელი, სამეურნეო ნაწარმოების გამსაღებელი, მერძევეთა ამხანაგობანი, სამელიორაციო, სამრეწველო და სხვა.

საკრედ. ორგანიზაციები აწვდიან ხალხს საჭირო თანხას. სამეურნეო ამხანაგობანი ამ გამოტანილ თანხას გზას უჩვენებენ და ეუბნებიან: აი, ამ შენთვის სასარგებლო საქმეზედ დახარჯე გამოტანილი ფული. მომხმარებელი საზოგადოებანი აწვდიან მომხმარებელს პირველ საჭიროების საოჯახო იაფ და კარგს პროდუქტს და ნივთებს.

ჩვენში დღეს გაიდგა ფეხი უმთავრესად საკრედიტო და მომხმარებელ კოოპერატივებმა. აქაიქ ეწყობა სამეურნეო ამხანაგობა უფრო მერძევეთა და ერზო-კარაქის მკეთებელთა.

მაგრამ კანტი-კუნტად და უსისტემოდ მოწყობა კოოპერატიულ ორგანიზაციებისა, როგორც საზოგადოთ მეტ შემთხვევაში დღეს ჩვენში ხდება, არ არის სასარგებლო, პირიქით მავნებლობის მოტანაც შეუძლიან. თუ გათვალისწინებული არა აქვს კოოპერატივების მოწყობის პირობები. რა გვარი კოოპერატიული ორგანიზაციები სჭირია დღეს ჩვენს ქვეყანას და რა დარგებს უნდა მოუპოვონ?

უპირველესად ყოვლისა ჩვენი ცხოვრება თხოვლობს ფართო სახალხო კრედიტის მოწყობას **სოფლად**, გარეშე და არაკეთილ გავლენისაგან დამოუკიდებელს. ამიტომ თავში **შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი** უნდა დავაყენოთ, რადგანაც უკანასკნელნი უფრო დამოუკიდებელნი არიან სახელმწიფო ბანკის ბატონ-პატრონობისაგან. სადაც დაარსებულია და არსდება დღეს საკრედიტო ამხანაგობანი იქ ხელმძღვანელები უნდა ეცადნენ, რაც შეიძლება მალე, როცა ხალხი მომზადდება, შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა ტიპზედ გადავიდნენ.

**სამეურნეო კოოპერატივებთა** შორის ძალიან საჭიროა **მერძევეთა, ერზო-კარაქის და ყვე-**

**ლის მკეთებელთა ამხანაგობანი**, რადგანაც კი ნაწილი ჩვენი ქვეყნისა მისდევს მესაქონლეობას და მის ძვირფას ნაწარმოებს გასაყალი არა აქვს. საჭიროა აგრეთვე მოწყობა **მევენახეობის, მებაღეობის და მებოსტნეობის** ნაწარმოების გამსაღებელ ამხანაგობათა. ყველა სხვა ნაწარმოების გასაღება, რომელიც დიდხანს ინახება და არ ფუჭდება უნდა საკრედიტო **ამხანაგობათ** იკისრონ; მით უფრო რომ მათ ნება აქვთ სამეურნეო ნაწარმოების საშუამავლო ოპერაციები აწარმოვონ; მაგალითად ხორბლეულისა, აბრეშუმისა, მატყლისა თაფლისა, თამბაქოსი, ხე-ტყისა. ამასთან ერთად მათვე, ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დახმარებით და ხელმძღვანელობით, შეუძლიანთ მოაწოდონ გლეხკაცს ახალი სამეურნეო იარაღები, თესლეულობა, შაბიამანი, გოგირდი და სხვა.

**მომხმარებელი საზოგადოებანი** უნდა ეწყობოდნენ დღეს-დღეისობით დაბებში და დიდ სოფლებში, რადგანაც პატარა სოფლის მომხმარებელი გლეხი ნისიას არის მიჩვეული, ეს კი მომხმარებელ საზოგადოებისათვის დასაღუპი ფაქტორია. დიდ სოფლებში კი ამ საზოგადოებათ შეუძლიანთ გამაგრდნენ, ფართოდ მოაწყონ თავისი ოპერაციები და დუქნის საქონელი გააუმჯობესონ. მომხმარებელი საზოგადოებანი აგრეთვე საჭიროა ჩვენს ქალაქებში, სადაც ბევრი ქართველი მუშა ხალხი ტრიალებს. ამ საზოგადოებათ შეუძლიანთ დიდი დახმარება გაუწიონ მუშებს, რადგანაც ჩვენი მუშის პაწია ზიუჟეტიდამ  $\frac{2}{3}$  დუქანს მიაქვს, ამასთან ნაყიდი საქონელიც ძვირია ხოლმე და უფარგისი.

ამას გარდა, დღეს მომწიფებულია საკითხი **საკრედიტო ამხანაგობათა კოოპერატიულ კავშირებისა საქართველოში**. ამ კავშირების მოწყობა უნდა ექვემდებარებოდეს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ეკონომიურ პირობებს, ე. იგი ყოველ დიდ და დამოუკიდებელ სამეურნეო რაიონში განსაკუთრებული კავშირი უნდა მოეწყოს. თუ მივიღებთ მხედველობაში საქართველოს მეურნეობის ხასიათს და გეოგრაფიულ პირობებს, რიცხვი ამ რაიონის კავშირებისა 8-10 იქნება. შემდეგში სარაიონო საკრედიტო კავშირები ერთ დიდ კავშირში მოიყრიან თავსა და ცენტრად უსათუოდ **თბილისს აირჩევნ**.

ამ რიგად მოკლედ რომ ჩამოვთვალოთ, ჩვენი კოოპერატიული სისტემა ასეთი უნდა იყოს.

1. წვრილი საკრედიტო დაწესებულებანი (შემ-

ნახველ-გამსესხებელი) თავის საშუამავლო ოპერაციებით.

2. განსაკუთრებული სამეურნეო კოოპერატივები, რომელნიც სამეურნეო წარმოებას მოარიგებენ და მრავალ სამეურნეო ნაწარმოებს შეერთებულად, კოოპერატიულის წესით გაასაღებენ.

3. ქალაქებში, დაბებში და დიდ სოფლებში მომხმარებელი საზოგადოებანი მიეშველებიან ქართველ მომხმარებელს და დაიხსნიან მას ათასგვარ მყვლეფავ მელუქნეებისაგან.

4. საკრედიტო ამხანაგობათა კავშირები, გაძლიერებულნი შეერთებით, ფართოდ გაუწვდიან საჭირო კრედიტს ხალხს და მკვიდრად დააყენებენ საშუამავლო ოპერაციებს სამეურნეო ნაწარმოებისას.

აი, ის მთავარი კოოპერატიული ორგანიზაციები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის აღორძინების საქმეს უნდა ემსახურნენ.

როგორცა ხედავთ, ახალი მოძრაობა მეტად სერიოზულია და ძლიერი. ახალი მოძრაობა ახლო უდგება ფართო ხალხის ჭირვარამს.

ახალი მოძრაობა აკავშირებს დაქსაქსულ ხალხის აქტიურ მწარმოებელ ძალებს და სამუშაოდ ერთგულ რაზმად გამოაჰყავს.

ახალი მოძრაობა ბუნებრივად უღვიძებს ხალხს განათლების წყურვილს და სხვა და სხვა. ერთი სიტყვით ქართულ კოოპერატიულ მოძრაობას მრავალი და თვარსაჩინო შედეგები მოჰყვება, რომელზედაც შემდეგში დაწვრილებით შევჩერდებით.

დ. კახელი.

## მუღანის გელი და ჩვენი სარწყავი წყლები

ერთხელ მოვიხსენიეთ ჩვენ ჟურნალში და არავინ ყურადღება არ მიაქცია, რომ უმაღლესი მთავრობა კავკასიის ადმინისტრაციის შემწეობით, მშრალზედ დასმას გვიპირებს. უკანასკელ დროს უფრო მეტს ლაპარაკობენ უმაღლეს სფეროებში და, ეტყობა, კიდევ დააჩქარებენ იმ კანონის გაყვანას, რომლის წყალობით მთელ ჩვენ წყურებს: მტკვარსა, არავგსა, ალაზანსა, იორსა, და სხ. — წაიყვანენ რუსებით დასახლებულ მუღანში.

ეტყობა, ჩვენში ჯერ არავინა გრძნობს ამ საშინელ საფრთხეს, რომელიც არამცთუ ეხლა, საყოველთაოდაც მოგვისპობს იმედს მეურნეობის აღორძინებისას, რადგან უწყლოდ მეურნეობის წარმოება ყოვლად შეუძლებელი ხდება. წარმოვიდგინოთ ის დრო, როცა დაკანონდება მუღანისათვის ყველა წყლების შეკვრა. მაშინ არც ერთი მდინარიდან არ შეგვეძლება სარწყავი არხების გაყვანა და მთლად მოგვესპობა საშუალება მომავალში მაინც განვავითაროთ ინტენსიური მეურნეობა, საითკენაც ცოტ-ცოტა პირს ეხლავდა ვიბრუნებთ.

ამ ორ-სამ წელიწადში, უეჭველია, მუღანის უდაბნოს ბედი საკეთილოდ გადასწყდება, ვინაიდან მის კოლონიზაციასა და მორწყვაზედ გადადებულია უკვე რამდენიმე მილიონი. იქ უკვე აშენებულია რამდენიმე ათეული სოფელი, იქ უკვე ვაყვანილია

ნაწილი წყლისა მებაშვებობის გასაფურჩქნად და მართლაც ჩქარის ნაბიჯით მიდის ეს საქმე. მთავრობას დიადი გეგმა აქვს, მთელი ეს მხარე მორწყვას, დაასახლოს შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულებით და ააყვავოს „სამშობლო“ მებაშვებობა. ამ რიგად ორ კურდღელს ერთის სროლითა ჰკლავს: პოლიტიკურს გამაგრებას საზღვრებისა რუსული ელემენტებით და ეკონომიურს გაღონიერებას საკუთარ მებაშვებობით. ამასთან თუ მესამე კურდღელიც მოიკვლის და ისედაც სუსტი მთელი საქართველო უწყლოდ დარჩება და შესუსტდება, — ეს უფრო კარგი.

ამით აიხსნება სწორედ, რომ მიწადმოქმედების მთავარი გამგე ა. ვ. კრივოშენინი აქ ჩამობრძანდა და ახლა, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, მძაფრ კრიტიკაში ატარებს მთავრობის მოქმედებას კავკასიაში, სამეურნეო დარგში. «სურათი მრევველობისა კავკასიაში და ნამეტნაყად სასოფლო-მეურნეობისა — სურათთა სრული გაყინვისა და რეგრესისა ციკლარ ვამბობთ უმაღლეს კულტურებზედ, როგორც ჩანს, ბამბისა, ღვინისა, ხილისა და სხ. — ყველა ეს არის, მაგრამ უმწეო მდგომარეობაში და ცოტ-ცოტა უბრუნდება ისეთ დონეს, რომელზედაც იდგა ქართველების ან სპარსელების მფლობელობის დროსაო, .. მიწის მფლობელობის მოწესრიგება,

მორწყვა, რუსების გადმოსახლება, ძვირფას კულტურების აყვავება — ყველა ეს ბევრად უფრო საყურადღებო საკითხებია, არა მარტო საერთო პოლიტიკაზე მხარეში, არამედ აქ მოსახლე ეროვნებათა ურთიერთობაზედაც და მათ კამათზედ ამა თუ იმ სახის თვითმართველობაზედა. „მარტო სასოფლო-სამეურნეო მრეწველობას შეუძლიან შეიტანოს სიმშვიდე და სიწყნარე მხარის ცხოვრებაში“.

რომელიმე გულუბრყვილო მკითხველს ეგონება, რომ ჩვენი ბიუროკრატის ძარღვებში ახალი სისხლი აჩქეფებულა და სამართლიანი მსჯელობის უნარი მისცემიაო, მაგრამ ყველა ამას იქითა ხრიან, რომ დააჩქარონ მულანის ველის აყვავება და მისი რუსებით დასახლება. სწორედ ამან უნდა შეიტანოს დამშვიდება. ეხლა, საცა კი ჩაასახლეს რუსები, ყველგან გამწვავება გამოიწვიეს იმით, რომ საუცხოვო პირობებსა ჰქმნიან მათთვის და ავიწროებენ ისედაც შევიწროებულ ადგილობრივ მცხოვრებთ. ეხლა „დამშვიდება“ იმაში უნდა გამოიხატოს, რომ მულანის უდაბნოზედ რუსებისათვის მილიონები დაიხარჯება და ამავე დროს ძვირფასი მიწები საუკუნოებითა დასახლებული ადგილობრივი მცხოვრებლებით უყურადღებოდ დარჩეს, უგზო-უკლოდ, ურწყავად, მიწის მფლობელობის მოურიგებლად და უპატრონოდ. „ინოროდცებისათვის“ მარტო შევიწროებანი და გადმოსახლებულთათვის შეღავათები — აი ნამდვილი საფუძველი კავკასიაში „სიმშვიდის“ დამყარებისა „ეკონომიურ ძალთა აღორძინებით“.

მაგრამ ეს წერილი დასრულებული არ იქნებოდა, რომ ამ მდგომარეობით გამოწვეული სასურველი მოქმედების მიმართულება არ აღგვენიშნა.

რასაკვირველია, თავი და თავი ყურადღება იმას უნდა მიექცეს, რომ რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება მეტი წყალის გაყვანა შევქოთ არხებით ჩვენი მდინარეებიდან, ვიდრე წყლის შეკვრა მულანისათვის — დაკანონდებოდეს. ან თუ გაყვანა არა, ამ გაყვანის უფლების შეძენა მაინც.

როგორც პირველი პრაქტიკული ნაბიჯი, უნდა ყველა ჩვენმა დაწესებულებათ მიაქციონ ყურადღება იმ არხს, რომლის გამოყვანასაც აპირობს ქალაქის თვითმართველობა არაგვიდან. ამ საქმისათვის ქალაქს კიდევ გაუზოგონია ინჟინერი ქურდიანი და მისი თანაშემწენი. ბ-ნი ქურდიანი ამ ზაფხულს დაასრულებს არხის მიმართულების გამოკვლევას. მისი აზრით ეს არხი იქნება სიგრძით 60 — 70 ვერ-

სი, შემოუვლის მთელს საგურამოს ტაფობს, ჯაჭვის ეკლესიასთან გაბრუნდება გლდან-ნორიო-ლილოსაკენ და დიდი რკალის მოვლით ჩამოვა თბილისში. ეს არხი მისი ანგარიშით დაჯდება დაახლოვებით 600,000 მანეთი და ქალაქს მისცემს წმინდა შემოსავალს 100,000 მდე. ეს არხი მორწყავს 4,000 დესეტინა საქალაქო მიწას და დანარჩენი ადგილები მთელი არხის სიგრძეზედ პირმშრალეები დარჩებიან; ამიტომ მოვალეობა გვაწევს ყველა ღონე ვიხმაროთ და ამ არხის გაფართოება მოვითხოვოთ, რისათვისაც საჭიროა მოსახლე გლეხობამ სოფლის დადგენილები წარადგინოს საცა ჯერ არსდ წყალი ითხოვოს. შემდეგ წერა-კითხვის საზოგადოებამ (რომელსაც ილია ქავკაჟაძისეული მამული სწორედ ამ არხის გზაზედა აქვს) უნდა აღძრას შუამავლობა; წინამძღვარიანთ კარის სკოლამ, აგრეთვე არხის გზაზედ მდებარემ; სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ, რომლის პირდაპირ დანიშნულებასაც შეადგენს ასეთი საქმე; თბ. გუბერნიის თავადაზნაურობამ, რომელსაც გავლენა უნდა ჰქონდეს თავის წევრებზედ, რომელთაც ამ არხით სარგებლობა შეეძლებათ.

ყველა ესენი უნდა გულმოდგინეთ შეერთდნენ ამ საშვილი-შვილო საქმისათვის და ყოველი ღონის ძიება გამონახონ თანხით, დახმარებით, თუ მუშა ხელის შოვნით — რომ გამოსაყვანი არხი, რაც შეიძლება ფართო გაკეთდეს. ეს ერთი. მეორე, ნატახტარის არხი, რომლის საქმე უკვე დაიწყეს ინჟინერმა მამრადემ და დაასამიძემ მცხეთის ზემოდ, უნდა განხორციელდეს რაც შეიძლება მალე. მესამე — დიღმის ველი, რომლის მოსარწყავად დიდმელები იღებენ თანხას — ისიც უნდა დროით მოგვარდეს.

აი ჯერ-ჯერობით რა შეიძლება გაკეთდეს იქნობამდის, სანამ წყალს დაგვიკეტავდნენ და საჭიროა დაინიშნოს საგანგებო კომისია იმ ზომების გამოსანახავად, რომელნიც სასურველად წარმართავენ ჩვენს წყალსა... და, კრივოშენისა არ იყვის, იქნებ ცოტ-ცოტა მაინც დაუბრუნდეთ იმ კულტურულ ხანას, როგორც ყოფილა მეურნეობისათვის ქართველებისა და სპარსელების მფლობელობის დროს.

ჩვენ სიხარულით ვეგებებით ასეთსავე მოთხოვნილებას სარწყავი არხების გამოყვანისას რიონსა და ცხენის წყლიდან, როგორც გადმოგვცემს გაზეთი „იმერეთი“.

# საპროტესტო წერილები \*

## ბ. რედაქტორო!

რადგან ჩვენ დესეტნიკები ნებას არ გვაძლევს დღისით, ან კიდევ ეტლზე არღნები დავუკრათ და ამით ხელს უწყობენ ჩვენს გოგოებს, რომ სხვებს ეკურკურონ, ამიტომ ჩვენ ორთაქალის ყარაჩოდელი მეარღნეები ერთ ლოთიან პროტესტს ვაცხადებთ ილია ქავჭავაძის წინააღმდეგ. სადა ხარ ათას ცხრაას ხუთო წელო! ჰაი გიდი აბასთუმანი! მართალი უთქვამს ფილიპე მახარაძეს: „ვაჰ სოფელო რა შიგან ხარ რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!“

თბილისის მეარღნეები: სოსონა, არშაკა, არმენაკა, თათუზა, არტუა, კაპლო, სედრაკა, გრიქულა, სერგუშა, კაკულა, პეტუა, ავაქა, ფიხულა, მანო, ვართანა, ბონაკერტურა, მარქარა, აკოფა და მრავალი სხვა.  
(თუ არა გჯერათ—მობრძანდით და დავგვთვალეთ!)

თანახმად ნ. ჩხიკვაძის წინადადებისა ჩვენ მისი თანამოკალმენი დღეიდან აღარ ვთანამშრომლობთ, როგორც „იმერეთ-სახალხო-თემში“ ისე „მათრახში“, „თავართქილადის კლენდარში“, „ქინქარში“, „ბათომის გაზეთში“, „აყალ-მაყალში“, „ბატიბუტში“ და მოვეუწოდებთ ჩვენს თანამომეგებს—შეერთდნენ შეერთებული ძალით და ჩამოშორდნენ ხსენებულ ორგანოებს!..

თბილისის აშუღები და პოეტები: სკანდარანავა, მამაჯანა, გივოშვილი, ალვან-ოღლი, დვალი, ჰაზირა, მაკალათია, ღვანთიკელი და სხვა, რიცხვით 9999 კაცი.

ჩვენ ქუთაისის რაიონის შეგნებული „ჩისტო-ჩიკები“ ვუერთდებით პროტესტანტების ყველა პროტესტსა და საზიზღარ ზიზღს ვუცხადებთ, ვინც ღირსია ზიზღისა, თანახმად ჩვენგანური პროპაგანდისტის „ოიამას“ წინადადებისა. კმარა! ვიღვიძებთ!

ა—ძე, ბ—ძე, გ—ძე, დ—ძე, ე—ძე, ზ—ძე,

\* ეს საინტერესო ფელეტონი დაბეჭდილი იყო გაზ. „იმერეთში“ [იმ პროტესტების გამო, რომელიც აგერ ერთი თვეა, მგონი, იბეჭდება ს. დ. „პრესაში“ (?)] და ეკუთვნის, როგორც ამბობენ, ჩვენს ცნობილს და ნიჭიერს ფელეტონისტს.

(და იმდენი, რამდენი ასოც ქართულ ანბანშია.)

ბ-ნო ალაე!

ჩვენ ქონები, ქურქები, სარაჯები, ფინაჩები, აშპაშხანელები, მიკიტნები, ბაყლები და ალაფები სასტიკ (ეს სიტყვა „სასტიკი“ ჩვენ სომხებს გვეკუთვნის—ჰაააა!), ფინთ პროტესტს ვუცხადებთ „ნაციონალისტებს“ რომ ილია ქავჭავაძეზე რაღაც ემეგებსა“ სწერენ!..

ხაჩატურ ფოლ-ჩიხტიანც, არუთინა ზეითუნინც, პეტრუზა ზარბაზოვი, მესამთლიანთ ჰოვანე, ქაჩალ კარაპეტა, ქაფჩა გეურქა, კუზიანი შაშა, უკბილო სოლომანა, ლაყლაყანთ გიქო, ბულდან ბულდანიჩი, ზიპო წკიპურტაძე, პუპუზ ღალუა, ბლუკუნა ავეტიქა, მიკირტუმ ჩაიფხანოვი და სხვა და სხვა და სხვა.

რადგან ზემო დასახელებულმა პირებმა არ იცოდნენ მათ მაგიერ მე ვამოწმებ, და ვაწერ ჩემს სახელსა.

ფირუზა.

# მ თ ვ ა რ ი ს შ უ ქ ი

(გიუ დე-მოპასანისა).

აბატს მარინიანს სწორედ ზედ გამოჭრილი სასული ქქონდა. ის იყო შადაღის ტანისა, გამხდარ-გამხდარი; ფანტატიკურის, მაგრამ მართალის აღფრთოვანებული სულის ხატრანი და ნამდვილი მორწმუნე. იგი სრულიად დრწმუნებული იყო, რომ ჰირის-ჰირ ხედავდა ღმერთს, კარგად ქქონდა შესწავლილი მისი განგება, სურვილი და განზრახვა.

როდესაც ნელის ნაბიჯით დასეირნობდა სოღმე ბაღში, იგი ხშირად ფიქრობდა, რაღა გაანინა ღმერთმა ამდენ ნაირი სკანა და სულდგმული? ამ დროს ის ჟინიანად ეძებდა მასებს, დასახავდა თავის თავს ღმერთად და თითქმის ეფუტეფუტე განოსძებნიდა მიხეზს ამა თუ იმ სკანას ან სულდგმულის შუქმინასს.

იგი არასოდეს ლოცვა-გუგუდების დროს არ იტყუდა სოღმე: მაუწითამელ არიან, უფალო, ზრახვანი შენით; არა, ის მუღამ ამბობდა: მე ვარ მსახური ღვთისა და ვაღდებული, ვიცოდე ეფუტე მისი განზრახვა, ვარნა თუ არ გიცდი, უნდა ვეცადო მიხეზდყო.

წიგნი

ბუნებაში უველაფერი შესანიშნავის და განსაცდელურების სისწორით არის შექმნილი; თვითთუღს სანგანს, თვითთუღს მოვლენას უთუოდ მიზეზი აქვსო, ფიქრობდა აბბატ მარინიანი, ალიონი მახრობელის სამურ კადვიბებისა, დღე ხაუოფს ამწიფებს, წვიმა დღემიწას რწყავს, სადამო სიძილოდ ამხადებს ეველას, დამუკი თვით მშვიდი ძილიაო.

წელიწადის ოთხი დრო, მაგალითად, მიწის მოსავლის უოველ გვარ სკტირობას აკმაყოფილებს.

მიუხედავად ეველას ამისა აბბატ მარინიანს განსაკუთრებული თვისება სჭირდა.

იმას სძულდა ქალები, თუმიცა-კი არ იცოდა რისთვის და რად? სშირად იმეორებდა მანხოფრის სიტყვებს: „დედაკაცი, რა მჭკვს შენთან სკერთო?“ და თანაც დასძენდა ხოლმე: მგონი თვით განგებაც არ არის კმაყოფილი ამ ქმნილებითაო.

იმას დედაკაცი უსამაგლეს არსებად მიანხდა დედაკაცმა შეტდინა ზირველი ადამიანი და დღემდისაც იმავე დაწვევლივ გზას ადგიაო. იგია სუსტი, სიშიში და მცდღური არსება. მაგრამ დედაკაცში მცდღურ ხორცის გარდა, აბბატს უფრო მეტად სძულდა მისი მოსიყვარული გული.

იგი სშირად გრძნობდა ხოლმე დედაკაცის ნახს შეხებას, მაგრამ არასოდეს არ ემორჩილებოდა; მხოლოდ ბრახდებოდა ამ აუხსნელის სიყვარულის მოთხოვნილებით. — დმურთს დედაკაცი მარტო ცდუნებისთვის გაუქვნიანო. უოველთვის, როდესაც-კი დედაკაცი კაცს უახლოვდება, იგი უნდა ფრთხილად და შიშით ეკიდებოდეს, რომ მახეში არ გაებას.

— ისინი მართლაც რომ მახეს ემსგავსებიან, ხელები მუდამ გართხმული აქვთ და ბაგერ მზად კაცთან შესაერთებლად.

მხოლოდ მოლოზნები არ ადეკვებდნენ მარინიანს და ესეც იმასთვის რომ მოლოზნები დმურთს ემსახურებიან; მაგრამ არა! სრულებით ვერც იმათ ენდობოდა რადგანაც გრძნობდა, რომ მათს შებორკილს და წენარს გულშიაც იგოვე მუდმივი სინახე იფარებოდა, რომელიც უნებურად მოქმედობდა მახედ, თუმიცა იგი მდღველი იყო.

მოლოზნების სისოებით ადსავსე და ღვთის მსახურების გამომეტეველს თვალებში, იმათს სარწმუნოებრივს ადმაფრენაში, იმათს თავდავიწყებულს ქრისტეს სიყვარულშიაც ისეთსავე სინახეს გრძნობდა, ისეთსავე სიყვარულს ხედავდა, როგორც სხვაში.

მონასტრიდან რომ გამოვიდოდა, კარებში ანაფორას შეიბერტუდა და აჩქარებულის ნაბიჯით გასწვევდა ხოლმე შინისკენ, თითქოს რაღაც საფრთხეს გაურბისო.

აბბატს ჰქვავდა დისწული, რომელიც აქვე მესობლად სცხოვრობდა თავისი დედიო; მისი ერთად-ერთი სურვილი ის იყო, რომ დისწულა „მოწყალე ადამიანი“ ეოფილიყო.

იგი იყო ღამაზი, მალხაზი, იმავე დროს საშინელი ცელქი. აბბატი რომ რამე რჩევას ან დარიგებას დაუწებდა, ის ცელქურად სულ კისკისებდა დასტუქსავდა და ის კი მხურვალედ ჰკოცნიდა, გულში იარავდა; აბბატი ცდილობდა, როგორმე თავი გაეთავისუფლებინა ამ ალერსისაგან, თუმიცა იმავე დროს მას ეს ალერსი უნებურად უდვობებდა ხოლმე სულის სიდრემში მიძინებულს მშობლიურს გრძნობას.

ის სშირად გასურებოდა ახალგაზრდა ქალს განგებაზე, როდესაც ერთად დასკვირნობდნენ მინდორში, მაგრამ იგი სრულიადც უურს არ უგდებდა, შეჭხაროდა მინდვრის ათს ფერ მშვენიერ ვეჯილებს და ლაჟვარდ ცას. ამ დროს იმის თვალეში სიდრცხლე, სინარული და იმედი იხატებოდა.

ხანდისხან კი გამოეკიდებოდა რომელსამე მწერს დასაჭერად და როდესაც დაიჭერდა, ეტუოდა: „შენდე ბიძა, რა მშვენიერია; შე გულით მინდა დავკოცნო“ ეს მოთხოვნილება მწერების, ჰეშელების, ვეჯილების და იასმინის კოცნისა უსახლოვროდ ადეკვებდა და სტანჯავდა ხოლმე მღვდელს, რომელიც ამაშინ ქალის გულის მოუსვენარს სინახეს ჰპოვებდა.

და აი ერთს დღეს ზარის მრეკველის ცოლმა, რომელიც აბბატ მარინიანის ოჯახს უკვლიდა, შეატუობინა, რომ იმის დისწულს სატროფო ჰქვავს.

აბბატი საშინლად გაბრახდა, სული ეელში მოებჯინა და გაქვავებულსავეთ დარჩა, ხელში სიმაროებლით, რადგანაც ამ დროს წვერს აზრსავდა.

როდესაც გონს მოვიდა და აზარაკი შეიძლო, სსსტიკად უმასუნა: სტუეი მელანია! მაგრამ გლეხის დედაკაცმა გულხედ ხელი დაიდვა და სთქვა: დმურთმა მიგოს ჰასუხი თუ, ვსტუეივარ ბატონო!

თქვენი დისწული უოველ-ღამ იმასთან დადის, როგორც კი თქვენი და დაიძინებს. ერთმანეთს წელის ნახირას შეხედებთან ხოლმე. თუ ეს ერთ დარწმუნდეო, სსსტიროა მხოლოდ როდისმე დანიშნულ ადგილს დამის ათს ან თერთმეტ სსათხედ წახვიდეო.

აბბატმა ზირის ჰარსვას თავი დაანება და ოთახში სიარული დაიწყო. როდესაც ხელმეორედ მიჰყო წვერის ჰარსვას ხელი, ორჯერ თუ სამჯერ გაატრა ნიკაში და ცხვირიც კი...

თოელი დღე სმა არ ამოუღია სიბრახისაგან. ამ სიბრახეს ზედ დაერთო მრისხანება სულიერის მამისა, მხურველისა, მასწავლებლისა, რომელიც ამ უამად

მოტყუებული, გაქურდული იყო, ბავშვისაგან სისხრილოდ აგდებული; ის გრძობდა, რომ მშობლიური თავმოყვრეობა სულს ჰხუთავდა, აბბატი ასეთს მდგომარეობაში იყო, როგორმაც არიან ხალხი მშობლები, როდესაც ქალი უცხადებს თქვენდა დაუკითხველად ამოვირნიე საქმით.

სადილის შემდეგ აბბატმა კითხვა დააწინა, მაგრამ ვერ შესძლო, აღუვლებსაგან თავს ვეღარ იმატრბდა.

ათი საათი მესრულდა. წამოავლო აბბატმა თავის მუხის ზიარბა ჯახს ხელი, რომელსაც დამ-დამობით ავადმყოფების ჩახვის დროს ატარებდა ხალხი.

დამილით დაჭებდა ჯახს, მუქარით შეათამაშა ღონიერს ხელში, სიბრახით გბილები კაადრჭადა, დაჭკრა სკამს და სახურგული მოაგდებინა.

გამალო კარბა, მაგრამ მშვენიერის მოვარაინის დამის დიადის სანახაობით შეშერობილი გაქვავბუღუსავით შესდგა; რადგანაც იგი შეტად გრძობიერი და ჩვილის გულის მატრბნი იყო; ამ თავისბით იგი მყოცნბუე ზოეტბებს და წმინდა მამათ უმზგავსებოდა; მოვარაინმ მკრთაღმა დამემ კრობაშად ააღუღვა.

მოვარის ჩახი სხივბით გაკაშკაშბუღუს ჩეხილო ვანს ბ.დს ძირს, მწვანბეზე, ახლად გაფურჩქნილი წვრილი ხის ტოტბი აბეჭდა; ვბებრთელა ცაცხვი, კობწიად ამართული კედლის სისწვრივ, და ირგვლივ ტბილს და ჩახს სურნბლებას ჰბეწდა, რომელიც ამ დბილს და მოვარის შუბით გაკაშკაშბუღუს დამეს მოსიყვარულე სულს უდგამდა. აბბატი ხარბად სუნბქავდა დამის მომხიბლვბელს, სადას და სუბთა ჰბერს, ისე როგორც ღობბი სვამენ ხალხი გატაცბით დვინბს; მიდიობა მიმიედ და სტბებობდა ამ დამის სიმშვენიერთ; ახლაც იმას დისწული სრულიად დაავბწდა. მიდიობა დანიშნულს ადგილს და შობი-ახლო შედგა, რომ მოვარის სხივბით გააღერსიანბულ არე-მარის სიმშვენიერთ დამტბბარიყო; მთელი არე-მარე ამ ჩახისა და მომხიბლვბელს დამის სარკვე კარდაქმნილიყო; გაისობდა შორს გამბული ნაწვეტ-ნაწვეტად ამბახილი ბავბებისა, რომელსაც შობიდან მობახილად უერთბებობდა ბუღბულის ჩახი, სუბუქი, ცოცხალი სტვბნა. ვვბლა ეს, ჩაქად მკობნილი დამის მოვარესთან ერთად თითქოს სვუენა-კობნისათვის იყო გაჩეხილი.

აბბატმა წინ გასწია. უცბად გული შეჭბინა, მაგრამ თითონაც არ იცობდა რად. ის გრძობდა სისუსტეს, დაუძღურბბას; მას უნდობდა დამწადარიყო საღბე და ამ ბუნბაში დახნას თვით დვთის სახე.

მოშობბობთ, წუღის ბირად, მწუბობრად ჩარბგბული აღვის ხები მოსჩანდა. მოვარის მუქბედ ვერცხლებრ აბრჭკვრიალებული თხელი თებრი ჩისლი წუღის ბირს

სუბუქ მანდილად გადაჭბეწობდა. მობად გატაცბული მღვდელი ერთხელ კბდეუ შესდგა, დამის მომხიბლვბელ სანახაობით დსატბებობდა.

უცბად კვბმს შეიბერო და გამობურკვბულ ბურანში წავბდა.

რად შეჭქმნა დმერთმა ესე, თუ კი დამე ძილსა უკრძობბელ მოსვბენისა და დავიწუბისათვის არის გაჩენილი? რად შეჭქმნა იგი დლებედ ბებრად უმშვენიერესად, დილის ცისკრის და დღის კამობთბებუბად უტბებესად? რატომ ჰბეწნს შუქს დამის წუბდიადს. რისთვის არ სძინავს ვვბლასბედ უბბუეს მკალბბელს ფრინვბელს და ბვისის ტბილის კალბობით აცობცხლებს დამის სიბბეღეს? რისთვის შემობუბრავს ქვბვანას მკრთალი ნათელი? რად მუბენბა ნეტავი გული, სული რად დებლავს, რად ვგრძობა დაუძღურბბას? რისთვის კეფბენბა ქვბუენას ასეთი მაცდუნბული სიმშვენიერე, როდესაც ხლჩს მოსვბენბით სძინავს? ვინ უნდა დასტბებს ამ დიადის სანახაობით, ამ უხვის ციადგან მოკვბილი სამობხის სიმშვენიერთ? ფბქრობდა აბბატი და მიხეწს ვერ მიმხვდარბყო.

მაგრამ აკერ ბე, ჭადის ბოლოში სქლად ბურუს დასკვულ ხეობან გამობჩნდა ორი ანრდილი.

კაცი მადლის ტანისა იყო; მას ხელი მოკვბია თავის სატრფობათვის და შუბლში ჰკობნბდა. იმათ თითქოს უცბად გააცობცხლებს არე მარე. ისინი ერთს არსებბს წარმობადგენბენ, რომელთათვისაც იყო შეჭქმნილი ეს მუუდრო და წებარი დამე; ისინი მიდიობდენ აბბატისკენ და თითქოს მასუხს აძღუენბენ იმ კობბებბუედ რომლებიც სულ ამ რამდენბმე წამის წინად აწუხებდა აბბატს.

აბბატი ჰკრძობდა, რომ თანდათან გული ძლიერად უძკერდა, მას თვალწინ ეხატბობდა ბბილიურა სცენა რუფის და გობჩის სიუვარულისა; აქ აბბატი თვით შემოქმედის ნების აღსრულებას ხედავდა, რომელსაც საღმრთო წვრილის წიგნბი მოკვბობხობბენ...

ბქმნება დმერთმა იბიტომაც შეჭქმნა ეს მშვენიერი დამეები, რომ მით დაჭბფაროს წმინდა სიუვარული, ფბქრობდა იგი.

აბბატმა უბ-უბან დაიწია, თითქოს მოტრფობაღბთ ემადებბო, და ეს კი მისი დისწული იყო; ჩოთუ გაჩენის წინაბდმდებ არ მობქცვბობდა, რომ ხელი შეეშალა, დაკებრთბა ზათი სიმშვიდე, კეობხებობდა თავის თავს? განათვით გამბენი არ რთავს სიუვარულს, რომელსაც ასეთის დიადის სანახაობით ჰმობსავს?

და აკერ სულიერი მამა ფებვარბუბთ, შეშფობბობით და დარცხვბნილი უბან დაბრუნდა.

ან ჭქანდა უფლება დაერღვია მათი ტკბილი ხე-  
ტარება, წმინდა სიყვარული.

ოლ. ბეჟ-აგლაძისა.

### მძიმე საკითხის გარშემო

ხიზანთა საკითხის გარდაწყვეტა ახლა მეორე  
ფაზაში გადადის და ამ დიდმნიშვნელოვანმა საგან-  
მა, რასაკვირველია, ალაპარაკა პრესაც. ს. დემო-  
კრატები იწყობენ და ათავენ იმით, რომ „იმათი“  
დებუტატების წყალობით სწყდება ეს საქმე,\*) თუმცა  
ყველამ კარგად იცის, რომ მეფის მოადგილეს უჭი-  
რავს უკანასკნელი სადავე ამ გრძელის გრძელ ისტო-  
რიისა და ყველამ კარგად უწყის, რა „დემოკრატი-  
ულის“ მოსაზრებით სწყდება იგი ისე, როგორც  
ეხლა. ყველა შეგნებულ ადამიანს ესმის, რა სახელ-  
მწიფოებრივი მოსაზრებით ხელმძღვანელობს ადგი-  
ლობრივი თუ ცენტრალური ბიუროკრატია და ს.  
დემოკრატია შეუგნებლად ამხნეებს და მხარს  
უჭერს ამ გარდაწყვეტილებაში, რადგან ერთნაირი  
ცენტრალისტური ფსიხოლოგიით არიან გატაცე-  
ბულნი. იმასთან ისე ლუკმას ვერ ჩაჰყლაბავენ,  
რომ „მამულიშვილების“ ძვალი არ გაეჩხიროთ ყელ-  
ში და ამ საკითხშიაც, როგორც ყოველთვის, ჩვენ  
კენ ისერიან ქვასა «ჩვენებური „მამულიშვილები“  
და ზღბრები, როგორც ხედავთ, უფრო მაგრები (?).  
გამოდგენ, ვიდრე ბიუროკრატია».

საოცარი ის არის, რომ აქაც ისე იქცევიან  
როგორც თვალთ და ქკუთ ბრმანი და რაც ჩვენ  
გვეკუთვნის **განსაკუთრებით** ხიზანთა საკითხის შე-  
სახებ—აწერენ „სახალხო გაზეთს“ და ფედერალის-  
ტებს, რომელნიც თავის უვიცობაში სწორედ ისე-  
ვე „დემოკრატიულად“ სწყვეტენ ხიზანთა საკითხს,  
როგორც ბიუროკრატია და სოციალ-დემოკრატია:  
„СВОЯ СВОИХЪ НЕ ПОЗНУША“.

მაგრამ ჩვენებურ „დემოკრატებს“ სრულიად  
არ აინტერესებთ საქმის ნამდვილი ვითარება და  
მარტო დემაგოგიური მოსაზრებით ხელმძღვანელო-  
ბენ, თუნდა ამისათვის უკიდურეს რეაქციონერებ-  
თან უხდებოდნენ შეერთება არსებით მუშაობაში.

„სახალხო გაზეთი“, რომელიც კვირაში სამჯერ

იცვლის ხოლმე ქურქსა, იმის და მიხედვით თუ ვინა  
სწერს შიგა-სოციალისტი, ნაციონალისტი, დე-  
მოკრატი, შოკინისტი თუ ნამდვილი ზუბრი — დღეს  
ისევე აღქურვილა ბუტაფორულ სოციალიზმით და  
თ. ლლონტის პირით\*\*) იმეორებს ჩვენს წინააღმდეგ  
ისეთსავე ცილსა, რომლისთვისაც არ. ჯ. შვილს  
აქამდის ვერ მოუცილებია მიღებული ეპიტეტი,  
თუმცა რედაქცია დაგვემუქრა — გიჩვენებთ სეირს,  
როცა აღ. ყიფშიძე გაათავებს თავის გამოკვლევა-  
საო. აღ. ყიფშიძემ დიდი ხანია რაც გაათავა თავი-  
სი სიტყვა და იქნება თ. ლლონტის ნაგვიანევი პა-  
სუხია ეს სუსხი?

ჩვენს აზრს ხიზნობაზედ არსებითად აღარ გა-  
ვიმეორებთ, რადგან ჩვენი მკითხველი იცნობს მას,  
მაგრამ ახალ ბრალდებაზედ არ შეგვიძლიან ხმა არ  
ამოვიღოთ.

ჩვენ არ ვიცით რა ფასის ეკონომისტია თ.  
ლლონტი, მაგრამ მის უხვ ნაწერებს ყოველთვის  
გულისყურით ვკითხულობდით და ვბეჭდავდით კი-  
დეც, იმის და მიუხედავად რომ დღეს ს. დემოკრა-  
ტების ბანაკში ამოჰყოფდა თავსა, ხვალ სახალხოე-  
ლებისაში და მერე ჩვენს ეროვნულ-დემოკრატიულ  
„კლდეში“. ვკითხულობდით, რადგან ობიექტიური,  
სამართლიანი მკვლევარი გვეგონა, თუმცა ყოველ-  
თვის გვაკვირვებდა ასეთი „სიუხვე“ ნაწერებისა  
და ბუნდოვანობა.

ერთხელ ლლონტმა სრულიად მოულოდნელად  
გამოაქვეყნა ჩვენი კერძო წერილი რედაქციის საქ-  
მეების შესახებ, მაგრამ ყურადღება არ მივაქციეთ,  
რადგან მის შეცდომად ჩავთვალეთ; დღეს კი ის—ჩვენი  
თანამშრომელი—გადმომდგარა ღ ჩვენსავე თანამშრო-  
მელს დ. კახელს ცილსა სწამებს და მთელ რედაქ-  
ციასაც ჩირქსა სცხებს — ეს უკვე უბრალო უეთი-  
კობას კი არ ნიშნავს — არამედ ლიტერატურულ  
აზფეობას. და ამიტომ უპასუხოდ ვერ და ტოვებთ.  
ს. დეკებმა ვანდვენეს იგი თავის ბანაკიდან და ახ-  
ლა ჩვენზე მოაყენა ჯერი. მისი აზრით დ. კახელმა  
ისე ძირითადათ გადაამახინჯა არ. ჯორჯაძის აზრი,  
რომ იგი (არჩილი) **ხიზანთა ინსტიტუტის დამცვე-  
ლად გამოიყვანა**. არჩილ ჯორჯაძის ხიზანთა ინ-  
სტიტუტის დამცველად გამოყვანა, თუ **ლოლი-  
კურად ვიმსჯელებთ**, მაშინ დაგვეპირდებოდა, თუ  
ჩვენ **თითონ** ვიქნებოდით ამ ინსტიტუტის დამცველ-  
ნი და მისი ავტორიტეტის გამოყენებას მოვიდო-  
მებდით რისთვისმე. მაგრამ, თუ ლლონტის მესხიე-

\*) „განთიადი“ № 9.

\*\*) „სახ. გაზ.“ № 966.

რება არა ღალატობს, ან თუ წაუკითხავს ჩვენი ამაზედ კამათი „სახალხო გაზეთთან“, (იხ. № 12, № 17 და 18 ჩვენი ჟურნალისა) უნდა იცოდეს, რომ არსად ამ ინსტიტუტის დამცველად ჩვენ არ გამოვსულვართ. (და ესეთი ფანდი ესდევებისაგან თუ გამოჰყვა ღლონტს).

ჩვენ ერთის მხრით ვუპირისპირებდით ბატონ-ყმობას და ხიზნობას და ვამტკიცებდით, რომ ხიზნობა თავისუფალი კავშირი იყო, სწორედ კეთილ-ნებური, როგორც სწერდა ილია ქავჭავაძე და ალ. ყიფშიძე ამტკიცებდა. რომ იგი (ხიზნობა) ბატონ-ყმობის დროს საუკეთესო ფორმა იყო და სანატრელი გლეხისა და ბატონის დამოკიდებულებაში. მაშინ იგი სწორედ „იდილია“ იყო, ბატონ-ყმობასთან შედარებით და ეხლანდელი, სოციალისტური თვალსაზრისით არ შეიძლება დარღვევა წარსულისა. ეხლანდელი ეკონომიური მეცნიერების თვალსაზრისს, რომ მუშა და კაპიტალი, გლეხი და თავადი, მწარმოებელი და დამკირავებელი და სხ. ერთმანეთის მოწინააღმდეგე ინტერესებით არიან აღჭურვილნი, ჩვენც სავსებით ვიზიარებთ, მაგრამ ეს იმას ნიშნავს განა, რომ ჩვენ ხიზნობა ბატონ-ყმობისაგან ვერ უნდა გავარჩიოთ, როგორც ამას სხადიან ყველა წყლის სოციალისტები? ამ გზით თუ ვიარეთ, მაშინ ყველა მოიჯარადრეც ყმად უნდა ჩავრიცხოთ, რადგან მისი და იჯარის გამცემის ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან და ერთი იძულებულია მეორესთან ასეთი თუ ისეთი არა-ხელსაყრელი კავშირი იქონიოს. თუ ასეთი უბრალო „ურიდიულ-სოციალური ტერმინოლოგია ვერ გაურჩევია ერთმანეთში თ. ღლონტს, რად აბრალებს ამასვე-არ ჯორჯაძეს. არჩილ ჯორჯაძე ხიზანთა განწყობილების კეთილ-ნებურობას არ უარჰყოფდა, იგი მხოლოდ სხვა თვალსაზრისით უყურებდა და ბურჟუაზიულად ნათლავდა. და ვერც ერთი ჰკუად-მყოფელი ვერ უარჰყოფს როცა უფლებრივ თვალსაზრისით შეხედავს საქმეს და არა სოციალისტურით. მაგრამ ჩვენ არც სადმე გვქონია ჯორჯაძის სახელით ხიზნობის იურიდიულ, უფლებრივ, ან სოციოლოგიურ თვალსაზრის-ზედ ლაპარაკი. ჩვენ მხოლოდ მის ეროვნულ მხარეს ვაქცევდით ყურადღებას, რადგან ეს მხარე

გვინტერესებდა და თუ ესეთი ცალმხრივობა არ მოსწონს ღლონტს—ეს მის გემოვნებაზე ჰკიდია, მაგრამ აქ გადაზახინჯებას და ს. ყალბეს რა ადგილი აქვს, არ გვესმის. ახირებულია, ღმერთმანი, გინდა თუ არა, სოციალისტური თვალსაზრისით უნდა უყუროთ საგნებსაო.

ჩვენც კარგად გვესმის თუ რა ფასი აქვს ხოლმე ხანდახან კეთილ-ნებურობას, მაგრამ ღლონტის ლოდიკით რომ ვიხელმძღვანელოთ და იძულება გარეშე პირობათაგან დავისუფლების მოწინააღმდეგე ცნებად გამოვაცხადოთ,—ბევრი კაპიტალისტიც ყმად უნდა იქცეს თავისი მუშებისა, რადგან ბევრჯელ იგიც იძულებულია მუშებს არა სასურველ პირობით შეეკრას. მაგრამ ეს ცნება—იძულებული, მაშინ სულ სხვა ხასიათისა ხდება და მისი შედარება ბატონ ყმურ იძულებასთან, როცა ბატონის სურვილს მათრახნი, ციხე და სიკვდილიც მოსდევს ბევრჯელ, საკუთრივ ბ-ნ ღლონტის ცნებათა შერევაზედაა დამყარებული.

კაცი როცა სამსახურში მიდის, მაგ., როგორც თვით ბ. ღლონტი, რასაკვირველია, იძულებულია თავისი შრომა მიჰყიდოს სხვასა, მაგრამ ამ იძულებასა და ძალდატანებით იძულების შუა დიდი ზღვარია, როგორც ფეოდალურ ბატონ-ყმობისა და ბურჟუაზიულ liberte du travail-ს შორის.

ყველა ზემოხსენებულიდან სამი უმთავრესი საკითხი იბადება: 1) რას გულისხმობს ბ. ღლონტი და როგორც ესმის ხიზანთა ინსტიტუტის დაცვა? 2) თუ ისე, როგორც ყველა ჰკუადმყოფელს და ქართულის მკოდნეს ე. ი. როგორც სურვილი მისი შერჩენისა ეხლაც, მაშინ დავვიმტკიცოს და გვიჩვენოს სად ამოიკითხა ეს, ჩვენი რომელი თანამშრომლის ნაწერში? 3) სად შევვხეთ ან გამოვიყვანეთ არ. ჯორჯაძე ხიზნობის დამცველად და ამ გვარად ყალბად გამოვიყენეთ და შევრყენით მისი სოციალისტური რწმენა?

ამ სამ საკითხზედ უეჭველად ველით პირდაპირ პასუხს, თუ ბატონ ღლონტის არა სურს მოქცევა იმ უღირს მოკამათეთა საში, რომელნიც არაფერს ერიდებიან და ყველანი კი ირიდებენ. რაც შეეხება იმას, რომ ხიზნების გადმოსახლებას მგმამულეებიც უწყობდნენ ხელსა და ვითომ ჩვენ ამას უმაღლავთ (!) მკითხველს, ესეც მტკნარი ტყუ-

ილია, რადგან სწორედ იმ 21 აპრილის ნომერში, რომელზედაც გვეკამათება ბ-ნი ლლონტი, ამოწერილი გვაქვს სწორედ ის სიტყვები, რომელსაც კამათისათვის ხაზს უსვამს: „მემამულეების მეცადინეობით 20 კომლი ხიზანი სცხოვრობს ყორნისში“; „მემამულეებმა დაასახლეს 14 კომლი ხიზანი“ და სხ. მერე ვინ ამართლებდა მემამულეებს და ვინ არ იცის, რომ ჩვენი მემამულეები ბრწყინვალე წოდებიდან ყოველთვის იყვნენ და არიან. ნებისთუ უნებლიეთ უსასტიკესი მტრები ჩვენი ტერიტორიისა. განა მთელი ჩვენი მიწა-წყალი სულ გადაგვარებულ თავად-აზნაურობისაგან არ არის გაყიდული და დაღუპული? და თუ ჩვენ ასე გულმოდგინეთ ვიცავთ ეროვნულ ტერიტორიის მთლიანობას ბიუროკრატიის მზაკვრულ პოლიტიკისაგან, თუ ჩვენი ეროვნული შემეცნება გვიკარნახებს ბრძოლას იმ უსამართლო კანონთან, რომელიც ასუქებს ოსობას ქართველ მიწათ-მფლობელობის ხარჯით, (სწორედ იმავე წელიწადს, როდესაც ქართველ გლეხობას საცოდავი სანადელო ჩამონაკრები მისცეს) ეს ბრძოლა მხოლოდ ლლონტისებურ ბუნდოვან მოაზროვნეთ ეჩვენებათ ხიზანთა ინსტიტუტის დაცვად და მემამულეთა სარჩლად. ადამიანს უნდა დაკარგული ჰქონდეს არამცთუ უბრალო ეროვნული აღღო, თვალთა ხედვაც კი, რომ ჩვენს მთელი წლის მოქმედებაში გამონახოს სადმე ან სურვილი წოდებრივობის დაცვისა, ან და სიყალბე, განზრახ დამახინჯება სინამდვილისა. შეცდომები კი, თვით ლლონტის უკანასკნელი წერილისა არ იყვეს, მარტო იმას არ მოსდის, ვინც არაფერს აკეთებს. აი, შეცდომები რომ გვიჩვენონ ხოლმე სახალხოელებმა—მაშინ სულ სხვა ანგარიში იქნებოდა, მაგრამ როგორ გვიჩვენებენ ამას, როცა უკანასკნელ დღოს თვითონ „სახალხო გაზეთი“ და თვით ნაესდეკარი ლლონტიც კი ჩვენი ეროვნული ენით ალაპარაკა... ცხოვრებას, ყოველი ცხვირის გამოყოფას თეორეტიულ კარჩაკეტილობისაგან ან და ფანატისმიდან, ასეთი თვისება აქვს: უაღრეს მოკამათებებს ერთ მოტივზედ აწყობინებს სიმებს...

\* \*

# უკანასკნელი ამბები

## საგლეხო ბანკის რეფორმა

რუსეთის საფინანსო სამინისტრო საჩქაროდ შეუდგა საგლეხო ბანკის რეფორმას. ძირითადი დებულებანი ამ პროექტისა გამორკვეულია კიდევ. ამ პროექტით საგლეხო ბანკის მაგივრად არსდება ახალი სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკი. ახალი ბანკის მიზანია მიეშველოს არა მარტო მიწის მყიდველებს, არამედ გასცეს გრძელ-ვადიანი სესხები, წოდების განურჩევლად, ყველა იმ მამულის პატრონებზედ, ვისაც სურს თავისი მეურნეობის გაუმჯობესება. ამავე ბანკს, როგორც სამინისტრო აპირებს, წვრილი კრედიტის დაწესებულებანიც დაექვემდებარება აგრეთვე და მათი მუშაობა შეერთებული იქნება. ენკენისთვეში იქნება მოწვეული განსაკუთრებული საუწყებთა-შორისო თათბირი ამ ახალ პროექტის განსახილველად. როგორც ამბობენ, მთავრობა ამ რეფორმას დიდ ყურადღებას აქცევს, ამიტომ მუშაობაც ჩქარი ტემპით წავაო და ახლო მომავალში ძალიან საგულისხმიერო პროექტი იქნება განხორციელებული.

**კახეთის რკინის გზა.** ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის მარშალს თ-დ კ. აფხაზს კიდევ შეუქრავს პირობა „აზოვსკო-დონსკოი“ ბანკთან, რომლის ძალით ბანკი აძლევს თავად-აზნაურობის აქციების დაგირავებაში და ვექსილით 550,000 მანეთს, რომელიც შეტანილი უნდა იყოს რუსეთ აზიის ბანკში ამა წლის გიორგობის თვეს. გამოტანილ ვალში თავად-აზნაურობამ უნდა აძლიოს „აზოვსკო-დონსკოი“ ბანკს 7%. როგორც გამოანგარიშებულია, თავად-აზნაურობას თავის წლიური ბიუჯეტი-დამ ვალის სარგებელში მოუწდება ყოველ წლივ არა უმეტეს 11,000 მანეთის გადახდა, რომელიც დაიღვევა, როდესაც კახეთის რკინის გზა ფაქტიურად ქართველობის ხელში გადავა (1915 წელს) და შემოსავალს მოუტანს.

**სამეურნეო საზოგადოებაში.** უკანასკნელ ქარ. სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრებაზედ მთავრობის აგრონომმა ბატონმა კრისტოფოვიჩმა წაიკითხა მოხსენება ხილის გახმობის შესახებ და სთხოვდა ქართულ სამეურნეო საზოგადოებას დახმარებას ხილის გახმობის დემონსტრაციების მოწყო-

ბაში. საბჭომ გადასწყვიტა დაეხმაროს ბ. კრისტოფოვიჩს და მოუშადალს შესაფერი ნიადაგი საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში, სადაც მებღეობაა გავრცელებული. სხათა შორის, ჯერ ჯერობით დანიშნა დემონსტრაციისათვის იმერეთი, ქართლი, და თბილისი. დაწვრილებ თი ცნობები ამის შესახებ მალე გამოცხადდება.

ამავე კრებაზედ არჩეული იყო წინამძღვარიანთ კარის ს. ს. სკოლის 30 წლისსაიუბილეო კომიტეტი, რომელშიაც შევიდნენ: საბჭოს წევრები ---თავადი დ. ჩოლაყაშვილი, ვ. რცხილაძე, დ ვაჩაძე, გ. მელია, ს. ხუნდაძე და ორ-ორი წარმომადგენელი სადებუტატო საკრებულოსა და წ.-კითხვ. გაშავრცელებელ საზოგადოებისაგან. პირველი კრება საიუბილეო კომიტეტისა დანიშნულია სამშაბთს 27 მარტიამობისთვის საიმპერატორო სამეურნეო საზ. დარბაზში.

**პოლიტეხნიკუმის საქმე.** როგორც ვაგიგეთ, სადებუტატო საკრებულო ენერგიულად შეუდგა საბურთალებელ მემამულეთა დოკუმენტების შეგროვებას, რომელთაც შეუწირნიათ ადგილები პოლიტეხნიკუმისათვის, მაგრამ ზოგიერთ მემამულესაგან ეს დოკუმენტები ჯერ ვერ ჩაიბარეს, რის გამო საქმე რთულდება. კომისიის სხდომამდე დრო ცოტა დარჩა და საჭიროა რაც შეიძლება მალე ყველა დოკუმენტი ამ კამისიას დროზედ ჩაბადრეს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, ყველა შემომწირველი მემამულე დაეხმარება სადებუტატო საკრებულოს ამ საქმეში და ხსენებულ დოკუმენტების გადაცემას არ შეაფერხებს.

**ხიზანთა საკითხი.** ჩვენ გვატყობინებენ რომ საუწყებათა-შორისო კომისიაში, სენატორ ნიკოლსკის მონაწილეობით აშიერ კავკასიის მთავრობის პროექტი ხიზანთა შესახებ არ იყო მთლად მიღებული. ჰირიქით ძირითადი დებულება ამ პროექტისა, რომლის ძალით ხიზნებს ეძლეოდა ყველა ის მამულეები, რომელიც დღემდის უჭირავთ, სრულიად შეცვლილია და მიღებულია განსაკუთრებული „სანადელო“ ნორმა, ანალოგიურად დროებით ვალდებულ გლეხობის ნორმისა—5 დესეტინამდე.

**მერძვეთა კოპერატივი „ლილო“.** დღეს, 12 სა.თზედ მერძვეთა ამხანაგობის „ლილო“-ს დასათვალისწინებლად მიემგზავრებიან სოფ. დიდლილოში სენატორი ვატაცი, ქართლ-კახეთის მარ-

შალი თ.დი კ. აფხაზი, თბილისის გუბერნატორი ჩერნიავსკი, მთავრობის აგრონომი ბ. კრისტოფოვიჩი, ქ. სასოფლო-სამ. საზოგად. თავმჯდომარე თ.დი ჩოლოყაშვილი და მდივანი ვ. რცხილაძე.

**სამწუხარო ამბები.** ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოება „პროგრესი“-ს მუშაობა ამ უამად ძალიან შესუსტდა. ვაჭრობა და მყიდველები ამ სიმპატიურ საზოგადოებას ძალიან შემოაკლდა და ეხლა იძულებულია დღეს ხვალ სრულიად შეაყენოს თავისი ვაჭრობა. ამაში ბრალსა სდებენ საზოგადოების მეთაურებს, რომელთაც ხალხი დიდი ნდობით მოეკოდა, უკანასკნელებმა კი თავისი მოვალეობის ასრულება ვერ შესძლეს და მალაზია ვალებში ჩასვეს ამავე დროს ქუთაისის სახელოსნო შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში რევიზიამ ბევრი უწყსოება აღმოაჩინა.

სხვათა შორის ანგარიშები მეტად არეულად დახვდათ და მასთან კასაში ფულების ნაკლიც შეამჩნიეს

ამ სამწუხარო ამბებს ქუთაისის კოპერატიულ საქმიანობისას ჩვენ დაწვრილებით შევცხებით მოკლე ხანში...

**მთავრობის მესაქონლეობის უფროსი აგრონომი ბ. ვივერი ა.** ქალანთარის თანხლებით მიემგზავრება ერვინის გუბერნიაში, მესაქონლეობის საკითხის გამოსაკვლევად. კარგი იქნებოდა მის დაბრუნების შემდეგ, ქართულ სას.-სამ. საზოგადოებამ გამოიყენოს მისი ჩამოსვლა და დაატაროს იგი იმ რაიონებში, სადაც მესაქონლეობა მართლაც მეტად განვითარებულია, როგორც მაგალითად—ერწო, ალგანი, ქიზიყი და სხვა საქართველოს ადგილები.

**შეცდომაა თუ?** „თბილისის ლისტოკში“ 22 მარტიამობისთვის №-ში „პაწია“ შეცდომა შ. პარულა ჩვენ კომპოზიტორ დ. არაყიშვილის უკანასკნელ მუსიკალურ თხზულების შესახებ. დ. არაყიშვილს დაუწერია „თუშის ქალების ცეკვა“ (ПЛЯСКА ТУШИНОВ) თბილისის ლისტოკში კი სწერია „შუშის ქალების ცეკვა“ (ПЛЯСКА ШУШИНОКЪ?).

# ერთი მაგალითი

ჩემი პატარა ოთახის ფანჯარა, გაფოთლილ ხეებ შუა, ტრიალ მინდორს ვაჰყურებს.

აგერ, ცოტა მოშორებით, ნაწვერალში წყვილ ცხენს და ერთ კაცს მოვკარი თვალი. რამდენადაც ვარჩევ, უნდა ხნავდეს იგი და მცე, ამით დაინტერესებული მივეშურები. სალამის შემდეგ შევეკითხე, თუ რამდენი ხნის ნამუშევარია მის მიერ მოხნული ნაწვერალი. დილას შეიღის ნახევრიდან დავიწყეთ. თერთმეტი საათის ნახევარი იყო. გამოკვირდა: ოთხ საათში ამოდენა ადგილი გადაუშვევია ორ ცხენსა და ერთ კაცს. რა ღირს გუთანი? შევეკითხე შევიცარიელს.

ოო, ძვირია, 200 ფრანკი.—არაა ძვირი; ჩვენში 100-120 ფრანკს ვაძლევთ, მაგრამ რა შედარებთ. ეს ხომ ორი გუთანია ერთად შედუღებული. ერთ კვალს რომ ერთი ნახევარი ხნავს, მეორე ჩამოვლახე მეორე ხნავს; ე. ი. როდესაც ერთი სახნის საკვეთელი (საკვეთელს წინ კიდევ პატარა სახნისი უძღვის) მიწაში მიცურავს, მეორე წყვილი ისვენებს მაღლა ჰაერში შემწვრილი. მიწის თავსა და ბოლოში, მობრუნების დროს, გუთანი უნდა გადაატრიალოს, ისე რომ ახლა ზემოთა პირი ქვემოთ, მიწაში მოექცეს. ჩვენებურად მიწას შემოვლით გარშემო კი არ უვლიდა, იქვე იმავე კვალზე აბრუნებდა და აი ამისთვისაა საჭირო, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, ეს ორმაგი გუთანი. ღირღიტას გოგრები ტოლნი არიან, რადგან ხან ერთი მოექცევა კვალში ხან მეორე. გუთანს ხელის მოკიდება არა სჭირდება. გუთნის დედის საქმეა მხოლოდ თავსა და ბოლოში გადაატრიალოს გუთანი. დასაკვალვებელ-დასავლვებელი ძალიან ადვილად მუშაობს, ასე რომ თუ ცხენი სწორე არ წავიდა კვალში, ადვილად მიწ-მოიწევა გუთანი და ცხენს კვალში სწორე ვაატარებს. სიღრმით იმავე სიღრმეზე ხნავს როგორც ჩვენებური რკინის გუთნები. არ ვიცი ამ გუთანს რა ჰქვია, ეს ჩვენ სპეციალისტებს ეკოდინებათ. იქნებ ეს ის გუთანიც არის, რომელზედაც ბ. ორჯონიკიძე ლაპარაკობდა „ბრახან დუბლ“. მე აქ მინდა მკითხველის ყურადღება იმას მიექციო, თუ რამდენი დაემუშავებინა ერთ კაცს წყვილი ცხენით. მოხნულს სიგრძე სიგანე გავუზომე და 1400 ოთხ. საყენი გამოვიდა .ეი. დღიურზე (ნახევარ დესეტინაზე) 200 ოთხ.

საყენით მეტი. სამი საათიც რომ იმუშავებდეს, ხომ დესეტინად შესრულდებოდა 7 საათში ე. ი. ნახევარ სამუშაო დღეში ჩვენებურად. მერე რამდენს ხნავს ამავე 7 საათის განმავლობაში 7-8 უღლიანი გუთანი 5 კაცი? ყოველ შემთხვევაში არა ამდენს. ერთი დესეტინა დღე-ნახევარში იხვნის, ისიც კარგი ხარ-კამეჩით. და ის გუთნის დედა, რომელიც დესეტინას დღე-ნახევარში ხნავს, ამაყობს. ამაყობს, რადგან ბევრი ორ დღეს უნდება. მაშ შევადაროთ და დავინახავთ რომ, რასაც ერთი შვეიცარიელი წყვილი ცხენით ნახევარ დღეში ხნავს, იმას ჩვენში 5 კაცი 7-8 უღელი ხარ-კამეჩით დღე ნახევარს უნდება მკითხველი თითონ დაინახავს, თუ რა დიდი განსხვავებაა. მიზეზი ამისა? მიზეზი ის გახლავთ რომ ჯერ ერთი თავსა და ბოლოს მიწის გარშემო შემოვლახე ტყუილად დროს არა ჰკარგავს მეურნე და მეორეც, ცხენები გაცილებით ჩქარა დიდიან ხარებზე და მით უმეტეს კამეჩებზე.

ჩვენში ცხენების შებმა თიქმის რაღაც მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნიათ. ორ თუ სამ კვირას კალოში შეაბმენ და შემდეგ მთელ წელიწადს უქმად დააქიხვინებენ რა თქმა უნდა, ჩვენებური გაქნაქული, ჩონჩხს დამზგავსებული ორი ცხენი ვერ ატარებს ასეთ გუთანს, მაგრამ ოთხი იყვეს, ზარალში მაინც არ ვიქნებით. თუ არა და, როდესაც წლობით იმუშავებენ, პატრონი იძულებული იქნება შესაფერი ყურადღება მიექციოს და გაქნაქულიც აღარ ჰყავდეს. მუშაობა არ გახდის, თუ კი რიგია-ნი მოვლა ექნებათ.

მაშ ჩვენმა მეურნეებმაც წაჰბაძონ განათლებულ ქვეყნის მეურნეთ, ცხენებიც აამუშაონ და ზემო მოყვანილი გუთანიც შეიძინონ. თუ ამგვარი გუთანი ცოტა ძვირია ჩვეულებრივ რკინის გუთანზე, სამაგიეროდ იგი ორჯელ მეტ ხანს გასძლებს, რადგან რიგით მუშაობენ და თან გარშემო ტრიალი არ მოუნდება, რაზედაც უბრალოდ დრო იკარგება.

თეთრი.

## სოფ. ახალქალაქი (გორის მაზრა)

ცხრა მარაიძისთვეს აქ წაიკითხა დეკანოზის „გიორგი სააკაძეზე“ სუ. ქვარაიშა. სახალქალაქი და მისი მიდამოები სწორედ ის ადგილებია, სადა გიორგი სააკაძე დაიბადა, აღიზარდა და პირველად გაშალა თავისი სა-

მარი გენია, ამიტომ ამით აღფრთოვანებულ ლექტორი-საკან უერთ მინარსიან ლექციას მოელოდნენ ეველანი, ნამეტნავად თვით გ. სააკაძის შთამომავალი თარხნიანი. მაგრამ ამასთანავე ლექციის კარგად იქნებოდა წავითხული, რომ რამდენიმე ისტორიული შეცდომას არ დაჰყოლებოდა თან და ბევრი ღირიზმი მთვარისა და მზისა არ ჩაჰქსოვებოდა.

შინაარსი, ანუ ისტორიული მხარე კარგის მდებარეებით იყო გადმოცემული და საში საათის განმავლობაში დიდძალი ხალხი მართლაც დიდის ეურადლებით ისმენდა სიტყვას, მაგრამ სააკაძის ჩამომავალთ ეს ეველან უკვე ცნობილი აქვს ზეპირადმოცემით, ხელნაწერით თუ წავითხული („დღემთურავიან“, ანტონ ფურცელაძის წიგნი და სხ.)—ასე რომ ახალი, სუბიექტიური რამ შემართებული აზრი გ. სააკაძის მოღვაწეობაზე არა გაბვიგონია რა.

მაგრამ მაინც დიდ მადლობას უცხადებთ ლექტორს, რომ მოჭკახვების მიერ უბეჭდილი სოფელი და იმედი გააქვს სხვა თემებთან დაკვიბრებებს კვლავ. ესეთი კულტურული საქმე ახალქალაქს დიდი ხანია არ ღირსებია და იქნება ამას იქით მაინც მოიკიდოს ფეხი. კარგი იქნებოდა ასე ვთხოვდით სხვა ისტორიული ხსენებებს ვკატონდეს შემუშავებული სხვა და სხვა ადგილებში წასაკითხავად.


ლექციის შემდეგ გაიმართა ვახშამი, რომელზედაც ლექტორმა და დამწერელმა ერთმანეთს ბევრი რამ უკვირეს სააკაძის შთამომავლობის დაქვეითებაზე და მრავალი სურვილები გამოსთქვეს ადოქმების შესახებ. ერთმა თარხნიშვილმა, სახელდობრ ზოლგოვნიკმა ესტატემ, ისიც კი გამოსთქვა, რომ ცარაელა სიტყვიერი სურვილები არაფერიათ და კარგი საქმე იმით გააგეოთათ, რომ სხადელთა ფუფით სააკაძის სახელბის ფონდი დაუარსოთ. „მე ჩემის მხრით 20% ვიძლევი ესლავო“. ამ მშვენიერმა და გულუხვმა განცხადებამ მომხრენი ვერ იშოვნა. ხალხი დაიშალა სამ საათზე და დუღეით გააცილა ლექტორი ბინამდის.

**საკაძის ჩამომავალი.**

P. S. ლექციები რა ვთქვა და „კულტურული გასართობი“—წარმოდგენები ისე გახშირდა აქ, რომ ღამის კულტურა დღინის სმას გადაჭარბოს. თუ აქამდე ასეთ წარმოდგენებს და „ლატარიებს“ რაღაც კულტურული მიზანი ჰქონდა ხოლმე? განათლება, სკოლა, ბიბლიოთეკა და სს., დღეს ეველან უფრო შემოსავალი აინტერესებს კერძო საქმიებისათვის: ზოგს ბანკის ვალი აქვს გადასახდელო, ზოგის შვილი გიმნაზიაში სწავლობს და აკლდება ფული, ზოგს სახლის სახურავი აქვს შე-

საკეთებელი და სს. ასე დაქვეითდა „კულტურული გასართობის“ მიზანი და არც საკვირველია—ისე დაქვრივდა და გაღარიბდა დღესდღეობაში სააკაძის შთამომავალი თარხნიანთ გვარი, რომ მალე მთხოვრობასაც არ მოერიდება.

ს. ჩ.



**ბიბლიოგრაფია**

რედაქციამ მიიღო წიგნი „Маршруты экспедиции по Кавказу“ - ა. ბ. ევანგელისა. ეს პირველი ცდაა ასეთი წიგნის გამოცემისა და უნდა სიამოვნებით აღვნიშნოთ, რომ კარგად და სუფთად არის გამოცემული. დართული აქვს ბევრი სურათები, რუქა და 25 ექსკურსიის დწერილობა. როგორც პირველ ცდას, რასაკვირველია, ზოგიერთი ნაკლიც აქვს, როგორც მაგალითად სიმოკლე აღწერილობისა და აღნიშვნა შესაგროვებელ ადგილებისა (СБОРНЫЙ ПУНКТИ) რაც სრულიად შეტად უნდა ჩათვალოს. სწორად არ იყო არც წინასიტყვაობა, სცა სხვათა შორის 12 საბავშო მცნებაც არის: თბილი ტანისამოსი სიცივის დროს უნდა ჩიცვით; ხანდახან უკან უნდა მიიხედოთ; ეველამ ისე უნდა იაროს ექსკურსიის დროს, რომ წინასაც ხელაფეხს და უკანასცაო (?) —ამისთვის ალბად კისერზედაც თვალი უნდა გამოიბან ექსკურსანტებმა.

მაგრამ ეს უმნიშვნელო ნაკლები და კორექტურული შეცდომები არ არღვევენ ამ იდეის სისადეს და იმედია, ევანგელი უმედეგ გამოცემებს უფრო გულის უერთ მოქმედებას.

ვისურვებდით, რომ ქართულადც ეოფილიყო გამოცემული ასეთი წიგნები და გავრცელებული საზოგადოებაში, რომ ცოტათი მაინც შეეხვიოს ჩვენი საზოგადოება სამშობლო ადგილების ტანობას.

---

**შემდეგი ნომერი გამოვა 8 ენკენისთვის.**

---

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.